

ლადო პაპავა პოლიტიკან მიღის

გაზეთი “კვირის ქრონიკა”, 21-27 იანვარი, № 3, 2008.

ხელისუფლება თვალში ნაცარს გვაყრის, პრემიერ-მინისტრი წარმატებებზე გველაპარაკება – ფასები თვალსა და ხელს შუა გვეზრდება, პრეზიდენტი ათასნაირ დაპირებებს იძლევა – ცხოვრება აშკარად უარესდება. ახლა ის 50-დღიანი პროგრამა აგვიფრიალეს, რომლის საშუალებითაც სიღარიბის დაძლევას აპირებენ. უკაცრავად, მაგრამ როგორც პარლამენტის წევრი, ბატონი ლადო პაპავა ამბობს, ეს ყველაფერი ვირტუალური ცხოვრების გაგრძელებას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალური ფასეულობების დამკვიდრებას.

– ბატონო ლადო, ამ დღეებში თქვენმა სეხნია პრემიერ-მინისტრმა ტელევიზიით გამოსვლისას ის 50-დღიანი პროგრამა აგვიფრიალა, რომლის საშუალებითაც მიხეილ სააკაშვილი სიღარიბის მოსპობას აპირებს. ამისთვის, მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი რამ არსებობს?

– დასავლეთის ქვეყნებში პრეზიდენტების არჩევნისას ასეთი პრაქტიკა მიღებულია. უმეტეს შემთხვევაში პირველი 100 დღის განმავლობაში გადასადგმელ ნაბიჯებზე, როგორც პროგრამაზე ამახვილებენ ხოლმე ყურადღებას. ამის შემდეგ ხდება ერთგვარი შეფასება, თუ რამდენად წარმატებულად დაიწყო საქმიანობა პრეზიდენტმა. მეტსაც გეტყვით, როდესაც 2004 წელს მიხეილ სააკაშვილი პირველი პირი გახდა, ამერიკელმა ექსპერტებმა დაუწერეს, რა უნდა გაეკეთებინა პირველი 100 დღის განმავლობაში. ახლა ის დოკუმენტი ბევრს აღარ ახსოვს, მაგრამ მე შემოიძლია, მოეძებნო.

– როგორც ჩანს, თვით მიხეილ სააკაშვილსაც არ ახსოვს.

– მაგას ვერ გეტყვით... მხოლოდ ის ვიცი, რომ მე მახსოვს, ბროშურის სახითაც კი იყო გამოცემული. რაც შეეხება იმას, თუ რატომ შეამცირა სააკაშვილმა ვადა, პასუხს ამ საკითხსაც ვუძებნი – საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება და იძულებული გახდა. თუმცა ეს ყველაფერი მაინც სიმბოლურია, ამ დროის განმავლობაში საფუძველი ეყრება მხოლოდ იმას, რასაც პრეზიდენტობის კანდიდატი ამომრჩეველს ჰპირდებოდა. ამავდროულად, იბადება რამდენიმე კითხვა, რომელზეც, სამწუხაროდ, პასუხები არ მაქვს. ალბათ, გახსოვთ, საპრეზიდენტო არჩევნების ჩამთავრების შემდეგ ინგა გრიგოლიამ თავის გადაცემაში მიხეილ სააკაშვილი მიიწვია, რომელმაც 50-დღიანი პროგრამის თაობაზეც ისაუბრა. მან ისიც აღნიშნა, რომ მთავრობა შეიცვლება, გამოჩნდებიან ახალი სახეები და პროგრამაზე ექსპერტები იმუშავებენო. ეს ყველაფერი ტელევიზიით ითქვა გვიან საღამოს, მაგრამ

მეორე დღეს, მთავრობის სხდომაზე ითქვა, 50-დღიანი პროგრამა უკვე დავდეთო. თუკი მთავრობა, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა ლანძღა და რაღაც ბოროტ ძალად გამოიყვანა, ამ საკითხებზე მუშაობდა, მაშინ რატომ მოგვატყუა, ექსპერტებს მოვიწვევო? გამაგებინეთ, ახალმა პრემიერ-მინისტრმა ძველი მთავრობის მიერ დაწერილი პროგრამით რატომ უნდა იხელმძღვანელოს? მთავრობის ახალ წევრებს, თუ კი ისინი მართლა ახლები იქნებიან, რა საკუთარი ჭკუა არ ექნებათ?

– თქვენ ხომ იცით, რომ ეს პროგრამა ლადო გურგენიძის დაწერილია?

– არა... შეიძლება მან რაღაც წვლილი შეიტანა, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ასეთი იდეების ტრადიციული ავტორი კახა ბენდუქიძე ბრძანდება.

– კარგი, დაწერეს და დაწერეს, ამას თავი დავანებოთ...

– დიახ, მთავარი ის არის, რა დაწერეს? აი, ეს უფრო რთული კითხვაა და პასუხი თითქმის არ გამაჩნია, რადგან ჯერჯერობით ყველაფერი მხოლოდ ვირტუალური ხასიათისაა. ამაზე მთელი საზოგადოება ლაპარაკობს, მიდის სჯა-ბაასი ტელევიზიით, იწერება პრესაში, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგეს, დოკუმენტი თვალთ არავის უნახავს და მათ შორის მეც, პარლამენტარ ლადო პაპავას.

– პრემიერ-მინისტრის აზრით, სიღარიბის დასაძლევად 200 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა საკმარისია. თურმე ამისათვის საჭიროა 10-20 მილიარდი დოლარი... უკაცრავად, მაგრამ 10-დან 20 მილიარდამდე ძალიან დიდი ინტერვალია.

– პრემიერ-მინისტრის გათვლები რას ეფუძნება, ნამდვილად არ ვიცი.

– კი, მაგრამ დღეს როგორ უნდა დავადგინოთ, ერთი სამუშაო ადგილის შექმნა რა ჯდება?

– მსოფლიოში გარკვეული სტანდარტები კი არსებობს, მაგრამ ყველა დარგს ერთი საზომით ვერ მივუდგებით, ზოგი საწარმო მეტ კაპიტალდაბანდებას ითხოვს, ზოგი შედარებით მცირეს.

– რატომ ჰგონიათ, რომ 200 ათასი სამუშაო ადგილის შექმნით საქართველოში სიღარიბე მოისპობა? მე ვიცი, რომ ამ ქვეყანაში უმუშევარი გაცილებით მეტია.

– კარგი შეკითხვაა... ესენი ფიქრობენ, რომ თუ საქართველოში 200 ათასი ადამიანი დასაქმდება, ამდენივე ოჯახის პირობები გაუმჯობესდება. თუმცა ჩემთვის სრულიად მიუღებელია ის გზა, რომლითაც მთავრობა ინვესტიციების მოზიდვას აპირებს – მოგესხენებათ, ჩვენი ქვეყანა განიცდის ინვესტიციურ შიმშილს, ასეთ პირობებში, როგორც საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა გაუმართლებელია. მე ფოთის განვითარების საწინააღმდეგო

ნამდვილად არაფერი მაქვს, მაგრამ ზელებერალური პოლიტიკის წყალობით თანხები მხოლოდ ამ ზონაში ჩაიდება, დანარჩენ ტერიტორიებზე ინვესტიციური შიმშილი კიდევ უფრო გაიზრდება. მე ნამდვილად არ მინდა, ფოთი განვითარდეს ქუთაისის, რუსთავის ან ლაგოდეხის ხარჯზე. ...ასევე გახმაურდა ის ამბავი, რომ საქართველო უნდა გადაიქცეს საფინანსო ცენტრად, სადაც დაწესდება გარკვეული შეღავათები კომპანიებისთვის. ამ იდეას მივესალმები, მაგრამ სანამ საკითხს დეტალურად არ გავეცნობი, ნაადრევად არც ტაშის დაკვრა, და არც კრიტიკა არ მინდა.

– ბატონო ლადო, მიხეილ სააკაშვილი დაბალპროცენტიანი სესხების თაობაზეც ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც ჩვეულებრივი საბანკო განაკვეთი ძალიან მაღალია, ასეთი რამის გაკეთება შესაძლებელია?

– თავისთავად, იაფი კრედიტების შემოღება მცირე ბიზნესის განვითარებისთვის კარგია, მაგრამ აქ არის ძალიან ბევრი „მაგრამ“... დავუშვათ, სახელმწიფო გაძღვეს კრედიტს 4 პროცენტად მაშინ, როდესაც ბანკში 20 პროცენტზე ნაკლებად ვერ აიღებ, ჩინოვნიკს უჩნდება ინტერესი, რომ შედგეს კორუფციული გარიგება. თუ შენ სესხის განაკვეთს ხელოვნურად ადგენ, კორუფციის მექანიზმი ავტომატურად მუშაობს. ახლა მეტყვიან, ქვეყანაში კორუფციას სასტიკად ვებრძვი, ვინც ამას გააკეთებს, დაისჯებაო. ძალიანაც კარგი, ვინც ასეთ გარიგებაზე წავა, უნდა დაიჭირონ, მაგრამ...

– არსებობს იმის ალბათობა, რომ ეს იაფი კრედიტების სახით გაცემული თანხები კომერციულ ბანკებში გადაიქაჩოს?

– დიახ, არსებობს ასეთი სქემაც, რომ ამ კრედიტების გამცემი იქნება კომერციული ბანკი, როცა მთავრობა მას მისცემს 2-პროცენტად, ხოლო ეს ბანკი 12 პროცენტად გაასესხებს. როდესაც ჩვეულებრივი განაკვეთი ძალიან მაღალია, ავტომატურად უამრავი მაქინაციის შესაძლებლობა იქმნება. არის მეორე მომენტიც: როდესაც პარლამენტში ლადო გურგენიძისადმი ნდობის გამოცხადების საკითხი წყდებოდა, კითხვაზე, თუ როგორ აპირებდა ინფლაციასთან ბრძოლას, მან მიპასუხა, მხოლოდ მონეტარული მექანიზმებით და საბანკო სესხის პროცენტის გაზრდით. თუ სესხის პროცენტი კიდევ უნდა გაიზარდოს, იაფი კრედიტის მექანიზმი ამ სქემაში როგორ ჩაჯდება? ეს იმას ნიშნავს, ერთდროულად მარჯვნივაც წახვიდე და მარცხნივაც, რაც უბრალოდ ვერ გამოგივა.

– მიუხედავად სააკაშვილისა და გურგენიძის ტრაბახისა, ინფლაციას შევაჩერებთო, ფასები მაინც იზრდება, ამაზე რას იტყვი?

– ახლა სწორედ იმ კუროსულ საკითხზე ვაპირებდი საუბარს, რომელიც მთავრობამ გაახშირანა. ამათი აზრით, უნდა დამტკიცდეს ინფლაციის ის ზღვრული მაჩვენებელი, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ავტომატურად

გათავისუფლდება თანამდებობიდან. კი, მაგრამ ნებისმიერმა დაბალი დონის ეკონომისტმაც კი იცის, რომ ინფლაციურ პროცესებზე ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ბაზრებზე მიმდინარე მოვლენებიც. აგერ, ნავთობისა და გაზის ფასი თითქმის უწყვეტად იზრდება, ჩვენ კიდევ არავითარი შიდა რესურსი არ გაგვანჩია, რომ როგორმე ამის კომპენსაცია მოვახდინოთ. ალბათ, გახსოვთ, ამას წინათ სერიოზული პრობლემები შეიქმნა ხორბლის ბაზარზეც. ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ თუ ამერიკამ ირანში ომი დაიწყო, ხომ ვიცით, რომ ამას ნავთობპროდუქტებზე ფასების სასწაული ზრდა მოჰყვება? რა ვქნათ, ამ შემთხვევაში ყველაფერი ეროვნული ბანკის პრეზიდენტს გადავაბრალოთ და სამსახურიდან დავითხოვოთ? გარდა ამისა, არსებობს სხვა ფაქტორებიც – კონკრეტულად, ის პოპულისტური ხარჯები, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება მაგალითად, შადრევნების სახით ანიაგებდა. თუნდაც ის დაპირებები გავისხენოთ, რომელთა შესრულებასაც ახლა იწყებენ... აგერ, საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება და კვლავ დაპირებები წამოვა წვიმასავით. როგორ გგონიათ, ეს ყველაფერი ინფლაციის ხელშემწყობი არ არის? ყოველ შემთხვევაში, დღეს საქართველოში რა პოლიტიკური ფონიც შეიქმნა, რაღაც სერიოზულ ცვლილებებსა და მიღწევებს ეკონომიკაში არ უნდა ველოდოთ. ასეთ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს შეიძლება არ აღმოაჩნდეს საკმარისო ინსტრუმენტები ინფლაციის დონის შესამცირებლად. საბოლოოდ კი გვქენება სიტუაცია, როცა ეროვნული ბანკი ფორმალურად იქნება დამოუკიდებელი, ხოლო ფაქტობრივად გახდება ფინანსთა სამინისტროს ერთერთი დეპარტამენტი...

– ბატონო ლადო, გამოსავალს რაში ხედავთ?

– გამოსავალი მხოლოდ ერთია, ხელისუფლებამ არ უნდა გააკეთოს ის, რაზეც ვსაუბრობთ.

– თქვენ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში გამოსვლისას აღნიშნეთ, „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ ჟურნალისტებს ინტერვიუს აღარ ვაძლევო. რა ხდება, რამე ისეთი თქვით და არ გაუშვებს?

– ასე ნამდვილად არ მოთქვამს. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ისინი სწორად არ იქცევიან. ამ ტელეარხებს და საზოგადოებრივ მაუწყებელსაც ცოტა უცნაური სპეციფიკა აქვთ, ჩემს მიერ გაკეთებულ კომენტარებს ხშირ შემთხვევებში ისე ჩეხავენ, რომ ტელემაყურებელი აშკარა შეცდომაში შეჰყავთ. ახლა, გამოცდილება მეც მაქვს და კომენტარებს ისე მკაფიოდ ვიძლევი, რომ დაჩეხვა შეუძლებელი იყოს. ხანდახან ვერც კი შეედავები: თუ ჩემი კომენტარი დიდად არ ეპიტნავად, მაშინ მას მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში არ უშვებენ და უკეთეს შემთხვევაში ისეთ საინფორმაციო გამოშვებებში ახვედრებან, რომელთაც აშკარად ნაკლები მაყურებელი ჰყავს.

- საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას კიდევ აპირებთ?
- ამ ეტაპზე აქტიურ პოლიტიკაში დარჩენას ნამდვილად არ ვაპირებ. ვთვლი, რომ როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი ჩემს ქვეყანას უფრო გამოვადგები, რადგანაც სიმართლის თქმის მეტი შესაძლებლობა მექნება.

გელა ზედელაშვილი